


ლით. გ. ი. დემუროვისა თბილის.

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

**№ 21.** მაისის 23, 1893 წ. **№ 21.**



**შინაარსი:** — ალექსანდრე პირველი, სერბიის კაროლი — ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობა, (წერილი მეოთხე) ხომლელისა. — შედარება, (ლექსი) დუტუ მეგრელისა. — ქართველთა და სომეხთა ურთიერთობა, (წერილი მესამე) გ. წერეთლისა. — მაზრის ექიმი, (ლექსი) კორტოხასი. — თ. ზაქარია გიორგის ძე ერისთივი. — თ. ნესტორ თავდგარიძე XX-სა. — ძალად ლიტერატორები აკაკისა. — ორ-გვარი აზრი აკაკი წერეთლის ლექსებზე, კიკვაძისა. — ხალხური ლექსები, შეკრებილი გრ. აფშინაშვილისა. — ბატონებმა არ დაიწუნეს ან. ერისთავისა.


## ალექსანდრე პირველი

### სერბიის კაროლი

დღეს მთელის რუსეთის და ევროპის ყურადღება მიქცეულია ამ ჩვიდმეტის წლის ახალგაზდა სერბიის კაროლზედ, რომელმაც თავის წლოვანების შეუფერებელი მხნეობა და ხასიათის ძლიერება გამოიჩინა. ერთს სადილზედ მიიწვია ამ ახალგაზდა კაროლმა სერბიის რეგენტები, ყოვლად შემძლებელნი თავის ქვეყანაში—რისტიჩი და



ალექსანდრე I სერბიის კაროლი

ბელიმარკოვიჩი, სადილს შემდეგ დაატყვევებინა ისინი და გამოაცხადა მეორე დღეს, რომ უკვე სრული წლოვანი მეფე შევიქენი, აპეკუნები აღარ მჭირიაო. შემდეგ ის გამოვიდა და წავიდა სატახტო ქალაქის საკრებულო ტაძარში, რომ სერბიის მიტროპოლიტის ლოცვა-კურთხევა მიეღო. ხალხმა დიდი აღტაცებით განუცხადა მადლობა თავის ახალგაზდა მეფეს, რომელმაც განათავისუფლა თავის საკაროლო

გვარი რეგენტების ძალ-მომრეობისაგან. ამბობენ, ვითომც რისტიჩსა და ბელიმარკოვიჩს განზრახვა ჰქონოდესთ,ობრენოვიჩების საკაროლო ოჯახი სერბიის ტახტიდან გადაევდოთ და მის მაგიერად კარაგეორგიევიჩების გვარი უნდა გაემეფებინათო. ვითომც ეს ამბავი ალექსანდრეს მამას, მილანს, წერილით მიეწეროს შვილისთვის და შვილსაც ამის გულისთვის გადაეყენებინოს რეგენტები. ამან ჩააბარა პირველი მინისტრობა თავის აღმზრდელს დოკიჩსა. ეს კაცი თურმე ძალიან მაგარი ხასიათის და თავის სამშობლოს მოყვარულია. იმას განზრახვა აქვს მხოლოდ შინაური სახელმწიფოს საქმეები გამოასწოროს და გარეშე სახელმწიფოების პოლიტიკაში არავითარი მონაწილეობა არ მიიღოს, მით უფრო რომ შინაურს გამგეობაში სახელმწიფო წეს-წყობილება, ესრედ წოდებული კონსტიტუცია, ძლიერ მოეშვა და სერბიის ერი გადაეჩვია კანონის მტკიცედ ასრულებას. ალექსანდრე I, კაროლი სერბიისა, დაიბადა 14 აგვისტოს 1876 წელს, იმ საშინელს დროს, როდესაც მამა მისი კაროლი მილანი განაგებდა სერბიას და ოსმალეთთან საშინელი ომი იყო გამართული. ძლევა-მოსილმა ოსმალოს ჯარმა აბდულ-კერიმის თაოსნობით კიდეც დაიჭირა ნახევარი სერბია და რომ რუსეთს არ დაეყენებინა ოსმალეთი, ახლა სერბიის დამოუკიდებლობის ხსენებაც აღარ იქნებოდა. დედა მისმა ნატალიამ დიდი ყურადღებით დაუწყო შვილს ზრდა და 1887—1889 წლის განმავლობაში მან შემოატარა შვილი მთელს ევროპაში, აჩვენა რუსეთი, შემდეგ იტალიის სატახტო ქალაქი ფლორენცია და ბოლოს ეს ახალ-გაზდა ყმაწვილი 1889 წელს დედასთან ერთად ატარებდა ზაფხულს ვისბადენში მადნის წყლებზედ. იმდროს კაროლი მილანი და მისი მეუღლე ნატალია გაყრილი იყვენ. მეფემ პოლიცის საშუალებით დედას მოაშორა, მკერდიდან მოჰგლიჯა, თავისი შვილი და მოაბრუნა სერბიაში. შემდეგ მილანმა უარ-ყო მეფობა და შვილი გაამეფა. რადგან ალექსანდრე ჯერ კიდევ მცირე წლოვანი იყო, მას დაუნიშნა რეგენტებად ბელიმარკოვიჩი და რისტიჩი. 1891 წელს ალექსანდრე I, კაროლი სერბიისა, ეწვია რუსეთის ხელმწიფეს და უნდა ვიფიქროთ, რომ იქ ნათლად დაანახვეს ახალ-გაზდა მეფეს, თუ რისტიჩი და ბელიმარკოვიჩი რანაირადაც უგებდენ მახეს მის სამეფო გვარს ობრენოვიჩებს. იმანაც მარჯვე დრო შეურჩია და რეგენტები ადრე განაძევა სამსახურიდან. ამასწინედ სერბიის კაროლევის ნატალიას მოთხრობა „დედა“ იყო „კვალში„ დაბეჭდილი ზღაპრად. ეს ამბავი შეეხება იმ დროს, როდესაც დედას საყვარელი შვილი ალექსანდრე მოჰპარეს და წამოიყვანეს სერბიაში.

ახალ-გაზდა კაროლს, ალექსანდრეს, დღეს განზრახვა აქვს, თავისი გაშორებული დედ-მამა ისევ შეარიგოს ერთმანეთთან და დააბრუნოს სერბიაში.

## ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობა

წერილი მეოთხე.

მაგრამ როდის მოვესწრებით ჩვენი ლიტერატურის ასეთს სასურველს ყოფას? როდის დადგება ისეთი დრო, როდესაც შესაძლებელი იქნება ჩვენი ინტელიგენციისა და ლიტერატურის წარმატებით მსვლელობა? როდის უნდა დაიბადოს ის ცხოველს-მყოფელი, პატიოსანი იდეია, რომელიც უკვდავების სულს შთაბერავს ქართველობას წმინდასა და სპეტაკს ნათელს მოჰფენს ჩვენს გრძნობა-გონებას და მხნეობით, იმედით გვაცქერინებს მომავალისათვის?... დღეს კი, ამ ჟამად სწორედ ქართველთა ერის ცხოვრება, როგორცა ვსთქვით, წინ წავიდა და ნივთიერ წარმატებისაკენ ერთი ნაბიჯი გადადგა. აწ-მყო ცხოვრების ვითარებაზედ აქამდის გულ-აცრუებული „ივერიაც“, დღეს, ამ ნაახალ-წლევს გამოფხიზლდა და ბ-ნის „ივერიელის“ პირით მთელს საქართველოს ერს ეუწყა ფრიად შესანიშნავი ამბავი. „განკერძოებული, ზღუდე-შემოვლებული ყოფა-ცხოვრება ჩვენის ერისა განჰქრა და ჰქრება, ვითარცა კვამლი. ჩვენც ფეხი გამოვყავით და შევდგით სხვა ერთა დიდებულს ცხოვრებაში; ჩვენც გვინდა მათის წარმატების თანაზიარნი გავხდეთ. იმ დროინდელი აღარა დარჩა-რა, (სულ არაფერი?) როცა ჩვენს ქვეყანაში გამეფებული იყო მარტო ოდენ სამეურნეო, სამიწათ-მოქმედო წარმოება, ნავარაუდევი ადგილობრივვე მოსახმარებლად, ადგილობრივვე ურთიერთშორის ნაწარმოების გასაცვლელ-გამოსაცვლელად. ჩვენში ძლიერდება (თურმე ა'ლა ძლიერდება! აკი, უკვე გაძლიერდა და იმ დროინდელი აღარა დარჩარაო! ერთი წინადადებაც როგორ ვერ უნდა გამოსთქვას კალმა ისე, რომ ლოღიკისა და აზრის არევდარევა არ მოჰყვეს!) ახლა სამრეწველო წარმოება დგება, დგება ისეთი დრო და ხანა, როცა მამა-პაპათაგან ნაანდერძევი წეს რიგი სამიწათ-მოქმედო წარმოებისაც კი სრულიად იცვლება და ისეთს ახალს საფუძველზედ მყარდება, რომელიც უფრო შეეფერ-შეეწონება ჩვენის ცხოვრების ახალს საეკონომიო ვითარებას. ამავე დროს ჩნდება სრულიად ახალი დარგი

მრეწველობისა, იბადება სრულიად ახალის სახისა და ფერის შრომა და გამრჯელობა. ერთი სიტყვით, წარმოება ქვეყნის ქონებისა და დოვლათისა დიდსა და მეტად საყურადღებო ცვალებადობაში შესული“! (იხ. „ივერიის“ მეთაური, №№-ები 20, 22 და 23) შესანიშნავია წერილის ჯერ კილო და მერე შინაარსი, ასე ვსთქვათ, დედა აზრი. ჩვენც ნუ ავუხირდებით წერილის ავტორს და აზრის იმ საშინელს არევ-დარევას, ულოღიკობას არ გამოვეკიდებით და, სანიმუშოდ, ხელს წავატანთ შემთხვევით მხოლოდ ერთს, რომელიც კალმის წვერს თავისთავად მარდად წამოეგება. „თუ ჩვენს თავად-აზნაურობას უნდა **კვლავ ეჭიროს ხელში პირველობა**, მთავარი ადგილი, ცხადია, რომ სამრეწველოდ აღძრულს ახალსა და ნორჩს ძალ-ღონეს მოთავეობა უნდა გაუწიოს, მძიმე სამრეწველო ურმის (ჰმ!!) **თავში** თითონვე უნდა შეებას („მოვალეობა ჩვენი თავად-აზნაურობისა“, „ივერია“ № 23.) მაგრამ თქვენ ნუ შეჩერდებით ამ უაზრო წინადადებაზედ, რომლის შუაშიაც „სამრეწველო ურემია“ მოქცეული. ჩაიკითხეთ ხათრისთვის, რასაკვირველია, ერთი წინადადებაც კიდევ, დაივიწყეთ სრულიად სიტყვები: პირველობა, მთავარი ადგილი და, თუ თქვენი სურვილია, თავიც და... დასტკბით ესეთის ბაიათით: „თავად-აზნაურობამ უნდა იფიქროს არა წარსულ დროთა უფლება-უპირატესობისათვის, რომელთაც ველარავითარი ქვეყნიური ძალა ველარ დაუბრუნებს“ და სხვ. ამაზედ მეტი სამასხროდ აგდება ლოღიკისა კიდევლა შეიძლება? ავტორი ამბობს, რომ უფლება-უპირატესობით შეჭურვილს თავად-აზნაურობას „კვლავ უნდა ეჭიროს ხელში პირველობა, მთავარი ადგილი“ და ამავე დროს არ უნდა იფიქროს მან წარსულ დროთა უფლება-უპირატესობისათვისო“! მაშ კვლავ ხელში დაჭერა პირველობისა **თავად-აზნაურობის** მიერ რაღაა, ივერიელო?! დღეინდელი უფლება-უპირატესობა თავად-აზნაურობისა განა წარსულ დროთა მეოხებითა და წყალობით არ მოხდა და იგივე უპირატესობა ამ ჟამად, დღესაც ფაქტი არ არის? მაშასადამე, სიტყვები: „წარსულ დროთა უფლება-უპირატესობა, რომელთაც ველარავითარი ქვეყნიური ძალა ველარ დაუბრუნებს თავად-აზნაურობას“—რას ნიშნავს? იქნება, ყმების კვლავ დაბრუნება გქონდათ სახეში? მაგრამ ასეთს აშკარა სისულელემდის ხომ თავ. მეშჩერსკიც ვერ ბედავს დღეს მისვლას და ქართველი პუბლიცისტი... აბა, რა საფიქრებელია, თუ ღმერთი გწამთ. მაგრამ ჩვენ მაინც კიდევ ეჭვში ვართ და ვერ გაგვიგია სიტყვები: „უფლებითა და უპირატესობით მოსილმა ნაწილმა ერისამ უნდა კვლავ დაიჭიროს ხელში პირველობაო“. რასაკვირველია, წარსულ დროთა საზოგადო ცხოვრებისა და ურთიერთობის პირობებმა დიდი ხანია რაც ჩაილულის წყალი დალია და, მაშასადამე, წარმოუდგენელია წარსული დრო კვლავ დაუბრუნდეს, ისევ ყმები მიეცეს თავად-აზნაურობას... არა, ბატონო! არეულია და უაზრო ეგ თქვენი სიტყვები: **კვლავ პირველობის, მთავარი ადგილის ხელში დაჭერა** და, თუ ღმერთი გწამთ, ნათლად და გამორკვევით გამოსთქვით თქვენი აზრი. რისა გეშინიანთ? თქვენ ხომ კილოზედ გეტყობათ, რომ რიხიანი და გაბედული პუბლიცისტი უნდა ბძანდებოდეთ და, მაშასადამე....

მაგრამ, ვიდრე ეს მოხდებოდეს, ჩვენ ჯერჯერობით იძულებული ვართ ყურადღება მივაქციოთ იმას, რაც დაიბეჭდა და გამოვარკვევთ ისევ ამ წერილის დედა აზრს, რომელიც მეტის მეტად ბუნდია და გაურკვეველი ჩვეულებრივის, მკითხველისათვის.

ბ-ნმა „ივერიელმა“ დაამტკიცა, რომ „ჩვენში ჩნდება სრულიად ახალი დარგი მრეწველობისა“ და თანაც „ერის ყოფა-ცხოვრებაც ისეთია, რომ საკუთრად თვითონ არ შეუძლიან ჯერჯერობით ხელი მოჰკიდოს დროთა შესაფერ საქმეების განხორციელებას, თაოსნობა და მეთაურობა, ჩვეულებისამებრ, უნდა იკისროს უფლებითა და უპირატესობით მოსილმა ნაწილმა ერისამ“. ეს გახლავთ „მოვალეობა ჩვენის თავად-აზნაურობისა“. (წერილის სათაურიც ასეთია). ხოლო ასეთის მოვალეობის განხორციელებისათვის საჭიროა, რომ ინტელიგენციამ მხარი მისცეს და დაეხმაროს უფლებითა და უპირატესობით მოსილს წოდებასო. ეს გახლავთ ის მარტივი აზრი წერილისა, რომელიც მეთაურ წერილად სამს ნომერშია დაბეჭდილი. და მერე, როცა თავად-აზნაურობა ჩაიგდებს „ხელში სამრეწველო განვითარებისა და წარმატების ღერძს... უფლება-მოსილი წოდების საზოგადოებურ შნოსა და მის საპოლიტიკო სიბრძნეზეა დამოკიდებული, რამდენად დიდ ხანსაც შეირჩენს ქვეყნის ცხოვრებაში როლს მეთაურ თაოსანისა და ხელმძღვანელისას“. თურმე ეს „საპოლიტიკო სიბრძნე“ ყოფილა მიზეზი, რომ „ინგლისის არისტოკრატია უვნებლად გადურჩა საისტორიო განვითარების დუღილს (გადურჩა დუღილს, თუ განსაცდელს? ცხოვრების ყოველ დღიურს დუღილს მკვდრის მეტი ვერ გაექცევა; ხოლო განსაცდელს, შესაძლებელია, კაცი გადურჩეს), საფრანგეთისა კი ამ დუღილმა სრულიად მოიდნო და მოინარიკლა“. „მარტო ინგლისის არისტოკრატია დაადგა უეჭველსა და

მართალს გზას... კვლავ არ ღალატობს თავის წოდების ანდერძს“ და საქართველოს უფლება-უპირატესობით მოსილი წოდებაც, თუ ჰსურს „არ უღალატოს თავის წოდების ანდერძს და უვნებლად გადურჩეს საისტორიო განვითარების დუღილს“, უნდა დაადგეს ინგლისის არისტოკრატთა მიერ გაკვლეულს „უეჭველსა და მართალს გზას“, ესე იგი, უნდა მიჰბაძოს მან ლორდებს. ჩვენ, ჩვენის მხრით, ღმერთსა ვფიცავთ, რომ ბ-ნ „ივერიელზე“ ნაკლებ არ გაგვეხარდება საქართველოს თავად-აზნაურთა „გალორდება“, რომელნიც შეირჩენენ „საზოგადო ხელმძღვანელობას თავიანთ მამულ-დედულისას, მისცემენ საღალოდ, გინა იჯარით, ფულიან და შეძლებულ ფერმერებს, ხოლო თვითონ არ ითაკილებენ მონაწილეობა მიიღონ თავიანთ ქვეყნის სამრეწველო წარმატებაში“... მაგრამ სამწუხაროდ, „ივერიელი“ არას გვეუბნება, თუ რა გზით, რა პირობების ძალით მივიდა „მარტო ინგლისის არისტოკრატია“ ამ ყოფამდის... და გზა, მის მიერ „თელილი“ ქართველთათვის, განსაკუთრებით, ჩვენს თავად-აზნაურთათვის კვლავ „ჯანყითა და ბურუსით“ არის მოცული.

ღვთის წინაშე, გზებისა და პირობების ჩვენება, ნათლად გამორკვევა კი ამ გვარ შემთხვევაში მეტისმეტად საჭირო გახლდათ. როგორ? ავტორი ამოდენა წერილებში ეხება ისეთს რთულს საქმეს, რომელზედაც, ავტორისავე სიტყვით, დამოკიდებულია მთელი ქართველობის ბედ-იღბალი, რომ არ დაიღუპოს და „საეკონომიო ყმობაში“ არ ჩავარდეს და... რომ ამ მოსალოდნელ ყმობისაგან დაგვიხსნას, ინგლისის არისტოკრატიასა და ლორდებზედ უთითებს დღეინდელს ქართველობას, ნივთიერად ნახევრად წელში გაწყვეტილსა და მასთან უბედ-იღბლო ერს! რა მოსატანია, რა ჭკუის მასწავლებელია აქ, ამ შემთხვევაში, „მარტო ინგლისის არისტოკრატია“ და იმისი მაგალითი, როდესაც ამ მაგალითს არ შეუძლია (ისე, როგორც ვერც სხვაგან შესძლო და მთელს კაცობრიობის ისტორიაში მართლა რომ „მარტო ინგლისის არისტოკრატია“ დარჩა ერთად ერთი) არავითარი ზედ-მოქმედება იქონიოს თანამედროვე ქართველობაზედ?

საჭირო არ არის, მე მკითხველს გავუბა ვრცელი საუბარი იმის შესახებ, თუ რა განსაკუთრებულმა ისტორიულმა გარემოებამ მიიყვანა მთელს დედამიწის ზურგზედ „მარტო ინგლისის არისტოკრატია“ ამ ყოფამდე. ინგლისის პოლიტიკური ვითარება რომ გონიერად შევისწავლოთ, დავრწმუნდებით, რომ იქაურს არისტოკრატიას სრულიად განსხვავებული პირობები ერტყა გარეშემო და ღვიძლი შვილი იყო მხოლოდ ინგლისისავე განსაკუთრებული ყოფა-ცხოვრებისა. იქაურმა განსაკუთრებულმა ისტორიამ სრულიად სხვა ფერი და ხასიათი დასდო არისტოკრატიას. ინგლისის ვითარების გულის სიღრმიდან წამოყვნებულმა უპირატესმა წოდებამ ცხოვრების პირობებისა დაგვარად ფერი იცვალა, განაფაქიზა თვისი საზოგადობრივი ყოფა-ქცევა, მეცნიერებისა და ლიტერატურის ვითარებაში პირველი ადგილი დაიჭირა და ინგლისის ერის საერთო სამოქალაქო წარმატებასაც არას დროს არ ჩამორჩენია. მთელს ისტორიაში დღეს მარტოდ, ცალკე სდგას ინგლისის არისტოკრატია, რომლის მაგალითს ვერ მიბაძა ევროპის ხმელეთის ვერც ერთმა არისტოკრატიამ. და ის, რაც ვერ შესძლო ევროპის სხვა-და-სხვა ერის არისტოკრატიამ, თურმე შესაძლებელი ყოფილა... ქართველთა თავად-აზნაურთათვის!! არა, „ივერიელის“ წერილი: „მოვალეობა, ჩვენი თავად-აზნაურობისა“ არ არის ცხოვრებაში ღრმად ჩახედულის პუბლიცისტის წერილი. ეს უფრო გამოხატვაა უნიადაგო პოეტური სურვილისა, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ჩვენს ისტორიასა და დღეინდელს ცხოვრებასთან...

მარტო „საპოლიტიკო სიბრძნე“ ხომ სრულებით ვერასფერს ვერ ჰხსნის. შესაძლებელია, თითოოროლა და მეტმაც, დიდი ქონებისა, ფულისა და ადგილ-მამულის პატრონმა, ქართველმა არისტოკრატმა ისე, როგორც თითო-ოროლამ გლეხთა და ჩვენებურ ვაჭართა წოდებიდან ალლო აულოს აწინდელ ვითარებას და „მძიმე სამრეწველო ურმის (ეს სამრეწველო ურემი რაღაა?) თავში“ მოექცეს და ეს, რასაკვირველია, შესაძლებელიც არის. მაგრამ პატივცემული პუბლიცისტი რატომ არას გვეუბნება ნამდვილს, ამ ჟამად ჩვენში რეალურად არსებულს (და არა ავტორის ოცნებაში არსებულს) მთელ საქართველოს თავად-აზნაურთა იმ გარდამეტებულს უმრავლესობაზედ, რომელსაც, ჩვენდა სამწუხაროდ და ქვეყნის საუბედუროდ, დღეს „უჭირს ლუკმა დღიური“. ვაი, თუ „ივერიელის“ ოცნება, მრავალთათვის ხელ-მისაწვდომი, მალამო ვერ შეიქნეს და ჩვენში დაიბადოს „ისეთი ვითარება, რომელიც საეკონომიო ყმობას ძალიან დაემსგავსება“...

ქართულს ლიტერატურასა და ინტელიგენციას, რომ არ ეღალატნა თავის წმინდა საქვეყნო ვალდებულებისათვის, იქნება, მომავალში შესაძლებელი ყოფილიყო შემსუბუქება ამ „საეკონომიო ყმობისა“. და დღეს კი, აგერ, ჩვენ თვალის წინ, საქართველოსთან

ერთად, ქართული ლიტერატურა და ინტელიგენციაც სდგას „საისტორიო საჯვაროს წინა, იმ საჯვაროს წინ, საცა სამი და ოთხი გზაა გადაჯვარედინებული“. დაადგება ჩვენი ლიტერატურა და ინტელიგენცია იმ გზას, რომელზედაც უთითებს ბ-ნი „ივერიელი“, ე. ი., დაიცვავს ინტერესებს იმ თითოოროლა ქართველ კაპიტალისტთა, რომელნიც „სამრეწველო ურმის თავშიაც“ მოჰყვებიან და არისტოკრატულს უფლება-უპირატესობასაც შეირჩენენ, თუ ერის დაბეჩავებულს, წყვდიადით მოცულს გარდამეტებულს უმრავლესობას, **წოდების განურჩევლად**, მტლედ დაედება, ამ ფრიად დიდს გაჭირვების დროს სასურველისა და სასარგებლო აზრების ქადაგებით დაეხმარება, რომ მრთელი ერი, „საეკონომიო ყმობაში“ არ ჩავარდეს? აი, საკითხი, რომელიც დღეს ჩვენმა ცხოვრებამ წამოაყენა და ენახოთ, რას ეტყვის პასუხად ამ საკითხს მომავალი...

ჩვენ კი, პირადად, სასოება არ დაგვკარგვია, მკითხველო! ჩვენ ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ რადგანაც დღევანდელმა ქართველმა ლიტერატურამ და ინტელიგენციამ უღალატა თავის წმინდა დანიშნულებას, ცხოვრება, უეჭველად, გამოიწვევს სამოქმედოთ ახალს თაობას, ახალს ინტელიგენციას, რომელსაც შეგნებით ესოდინება თავისი ქვეყნისა და დროის უსაჭიროესი მოთხოვნილებანი. იგი იქნება ნამდვილი და ჭეშმარიტი ინტელიგენცია, რომელიც ნათლად, ქვეყნის გასაგებად გამოარკვევს მრთელი ერისათვის საჭირო აზრებს და ღირსეულად მომზადებული სალიტერატურო ასპარეზსაც სხვა ხასიათსა და ფერს მისცემს...

მაგრამ, ვაი! ვინ იცის, როდის დაგვიდგება ეს ბედნიერი დრო; როდემდის უნდა შეჰყუროს მრავალ საუკუნოებით ტანჯულმა ერმა თავის უბედურს ყოფას, რომელიც საშინელის წყვდიადით არის მოცული და ერთი ნათელი, ბრწყინვალე და ჭეშმარიტი აზრი კი წინ არ უძღვის? შესაძლებელია, იმ მომავალმა ინტელიგენციამაც იმ დროში უკვე გაპარპაშებულს რთულს კაპიტალისტურ წარმომადგენელთა ინტერესებს დაუწყოს გულწრფელი სამსახური და „ივერიელის“ სურვილმა გაიმარჯოს... და უყურადღებოდ, ღვთის ანაბარად, დასტოვოს მთელი ის წრე მშრომელი ხალხისა, რომლის ბედ-იღბალს და ისტორიას დიდის მოფიქრებით და გულის ძგერით უნდა შეჰყურებდეს თვითოეული მოწიფულისა და დაბრძენებულის მოღვაწის აზრი და გრძნობა-გონება. მინდა დავაჯერო გული, რომ ჩვენი მოზარდი, მომავალი თაობა, რომელსაც პატიოსანი სურვილი აქვს თავი დასდოს თავისი მშობელი ერის მშრომელთა კეთილ-დღეობისათვის, არ დაზოგავს დროსა და მოცალეობას, საფუძვლიანად მოემზადება სალიტერატურო ასპარეზისათვის და უხვად მოჰფენს ქვეყანას იმ ბრწყინვალე და სასურველს აზრებს, რომელთაც უნდა განახორციელონ უმაღლესი ფორმები სამოქალაქო ცხოვრებისა....

ხომლელი

---

## შედარება

მოდის, მოშხუის, მოჰღელავს
მდინარე ადიდებული;
ასკდება თავის ნაპირებს
და ებრძვის გაცხარებული!

ცდილობს, მიღწიოს კლდეები,
ფრთა, თავისუფლად გაშალოს;
ცდილობს დასტოვოს ძველი გზა
და ახალი გზა გაჰკვალოს;

მაგრამ ამაოდ უვლის ცდა:
საბრალო, დამარცხებული,
რჩება ძველს კალაპოტშივე
და მიდის ალქაფებული!...

მოდის, მოჰყვირის, მოჰშფოთავს
ჭაბუკი აღელვებული
და გარს-შემორტყმულ პირობებს
ებრძვის თავ-დავიწყებული;

ცდილობს დასძლიოს ისინი,
ფრთა თავისუფლად გაშალოს;
ცდილობს გზა თავის ცხოვრების
თავის გემოზედ გაჰკვალოს;

მაგრამ ბევრს მალე ელევა
ძალა და დასუსტებული
ემორჩილება თავის ჩვედრს,
დამცხრალი დამშვიდებული!

მხოლოდ რჩეულნი... (ნეტა მათ!.. )
აროდეს არ დასცხრებიან:
ან სძლევენ გარემოებათ
და ან ზედ შეაკვდებიან!

დუტუ მეგრელი

# ქართველთა და სომეხთა ურთიერთობა

## ქალაქის ხმოსანთა არჩევანები

წერილი მესამე

კვირას, 16 მაისს, ქალაქის ხმოსანთა არჩევანმა დიდი უსიამოვნება გამოიწვია საზოგადოებაში და ქართველობას ძალიან გული დასწყვიტა. ამაზედ ნაკლებად აღარც სომხის ახალგაზდობას სწყენია ეს ამბავი. ძველი სომხების მეთაურებმა შეაერთეს ძალა და თანასწორად გააშავეს როგორც ქართველი კანდიდატები, ისე ახალგაზდა სომხებისაც. სამოც-და-თორმეტ ამორჩეულ ხმოსანში ექვსი ქართველია და ორი თუ სამი ახალთაობის სომეხთაგანი; ამას რომ მივუმატოთ რვა რუსი და ორი ნემეცი, დანარჩენი კი სულ ძველი სომხის თაობის მომხრენი იქნებიან. ასეთი შედეგი მეტად უსიამოვნო იყო ყოველ კეთილ-გონიერი კაცისათვის, ვინც კი ტფილისის ქალაქის კეთილ-მდგომარეობისათვის ზრუნავს და ვისაც ტფილისთან ერთად მთელი საქართველო-სომხითის ბედ-ბედი აწუხებს.

ჩვენ ამ ამბავს არ გაუკვირვებივართ. ეს ამბავი იყო შედეგი იმ უწინდელის სომეხ-ქართველთა გამწვავებისა, უთანხმოებისა და უსიამოვნებისა, რომელიც, კარგა ხანია მას აქეთ, რაც ზოგიერთებმა ძველმა მეთაურებმა ქართველ-სომხებისამ ჩამოაგდეს ამ ორს ხალხს შორის. ძველ მეთაურებს ჰსურდათ ამ საზოგადო უსიამოვნებით ესარგებლნათ, რომ თავის საკუთარი პიროვნული საქმე წინ წაეგდოთ და უეჭველია ამ ბრძოლაში რომელი მხარეც გაიმარჯვებდა, იმის მოთავე კაცებიც ვრცლად ისარგებლებდენ ამ გამარჯვებით. ასეც მოხდა. დღეს ძველს სომხის მეთაურებს დარჩათ ბურთი და მოედანი, ისინი და მათი მომხრენი გახდენ ქალაქის მეურნეობის მზრუნველად. უეჭველია ამ შემთხვევაში ბევრი რამ იქნება დამოკიდებული მათს ზომიერებაზედ და გონიერებაზედ. მაგრამ რაც უნდა გონიერება და სიმკვირცხლე გამოიჩინონ ძველის სომხის თაობის გამარჯვებულმა მეთაურებმა მაინც ქართველები და გულსაღი განათლებული ახალგაზდა სომხობის წარმომადგენელნი ვერ აპატიებენ ძველს მეთაურებს მედიდურებას და თავხედობას. ისინი ვერ აპატიებენ ძველ მეთაურებს იმ გარემოებას, რომ დამსახურებულნი, განათლებულნი და საზოგადოების მიერ პატივცემულნი პირნი გააშავეს, აგრეთვე ვერ აპატიებენ მათ გონება-განვითარებულ ახალგაზრდა სომხების გაშავებას და ამათ მაგიერად, რომ ზოგი სულ უცნობნი და უცოდინარო პირები შეიქნენ ქალაქის მეურნეობისა და მისი მრავალ-გვარის საქმეების მზრუნველად. ამითი ძველმა სომხის მეთაურებმა თვალ-საჩინოდ დაამტკიცეს, რომ იმათ არ ესმით ახალი გაღვიძებული მოთხოვნილებანი ქართველ-სომეხთა მდგომარეობისა. იმათი მოქმედება შურისა და განკერძოვების მეტს სხვა სიკეთეს ვერასფერს ჩანერგავს ამ ორ მეზობელს ხალხს შორის. და რა გამოვა აქედან? ეს ორი მუჭა ხალხი ერთმანეთს დავეტაკებით, ერთმანეთს წავახდენთ, ერთმანეთს დავსცემთ და ჩვენს გულ-ღვიძლს ამოსწიწკნის ყვავ-ყორანი. ამაში მარტო ძველი სომხის მეთაურები არ არიან დამნაშავენი. სამართლიანობა მოითხოვს, ქართველებსაც ვუსაყვედუროთ ესევე დანაშაულობა. ქართველებიც არ ვაკლებდით ხელს ამ დამარცხებას. თუ ბეჭდვითა და სტამბით, თუ მოუფიქრებელი ლაპარაკით უმისოთაც გულნატკენს ჩვენს მეზობლებს კიდევ უფრო ვაბრაზებდით და ყოველივე ამის შედეგი ის იყო, რომ ქართველები ცალკე შეკავშირდენ და განზედ გადგენ, სომხებიც აგრეთვე ცალკე ბანაკში შეგროვდენ. ბოლოს საქმე იმდენზედ მიდგა, რომ სომხის გაუნათლებელი ამომრჩეველი გვარს უყურებდა და ამოსარჩევ ყუთში ისე აგდებდა კენჭს: თუ სომხის გვარი იყო, უსათუოდ თეთრში ჩაუგდედებდა და თუ ქართველი გვარი იყო— შავში. აქედან ის გამოვიდა, რომ რომელს მხარესაც მეტი მეკენჭეები ჰყავდა, ის გათეთრდა და რომელსაც ნაკლები — ის გაშავდა. სომხის მეკენჭე იყო ხუთას ორმოც და ათი. ქართველებისა ას სამოც-და-ათი, რუსებისაც ორასი. დანარჩენი სხვა რჯულისანი იყვენ. ცხადია, რომ სომხები უნდა გასულიყვენ და სხვა მოდგმის მეკენჭეები გაშავებულიყვენ. ქართველების სასაყვედუროთ ესეც უნდა ვთქვათ, რომ ჩვენმა მოწინავე დასმა ვერც პოლიტიკური სიბრძნე გამოიჩინა და ვერც საკმაო გონების მოწიფულება. ერთმანეთში პარტიობის გამო ქართველები ამ საზოგადო გამწვავების დროს არ მოვერიდეთ ჩვენს მეზობლებს და შინაური უთანხმოება და სიძულილი იმათ წინაშე გამოვაქვეყნეთ, ჩვენი ჭუჭყი არ დავმალეთ. ამითი კიდევ უფრო ისარგებლეს ძველი სომხების მეთაურებმა და ის ერთი ნაწილი გონება-განვითარებულის სომხებისა, რომელთაც ჩვენი თანაგრძნობა ჰქონდათ და ქართველ-სომხობის ერთობის სიყვარულით იყვენ გამსჭვალულნი, რომელნიც ნამდვილ საპატრიოტო და ერის მომავლის საბედნიერო საქმეს ჰკიდებენ ხელს, დაასმინეს ძველს სომხობას, უთხრეს: ახალი უფრო შორს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხედველი სომხის თაობა ქართველებს უკავშირდებიანო. „არძაგანქმა“, სომხის ძველი თაობის გაზეთმა, ეს ამბავი ქართული გაზეთიდან გადაბეჭდა და ხელზედ დაიხვია ამას ის ჭორიც დასძინა, რომ ვითომ სომხის ახალთაობას ეღალატნოს ძველი სომხებისთვის. ამისთანა ჭორმა გამწვავებულს მდგომარეობაში ისე იმოქმედა, რომ ძველის თაობის სომხებმა ახალი მიმართულების სომხის კანდიდატები ქართველებთან ერთად გააშავეს; ხოლო ზოგიერთი ქართველი მეკენჭეები ოთოთაანთ ქორივით დაერივნ იმ ქართველ კანდიდატებს, რომელნიც თანაუგრძნობდენ სომხის ახალთაობის შეერთებას ქართველ ახალთაობასთან. იმდენად ველარ მიხვდა ზოგიერთების გონების მოსაზრება, რომ საუკეთესო სომეხთა წარმომადგენლების ძმური ხელის გამოწვდენა და ახალი პრინციპის ღალადებაც ითაკილეს. ისინი მისცეს ხელში მათ შინაურს მტრებს ჯვარზედ საცმელად, მაგრამ ყოველს ცუდს არ შეიძლება, რომ კარგიც თან არ დაჰყვეს. ეს კარგი, აი, რასში მდგომარეობს.

წრევანდელმა ქალაქის არჩევნებმა ცხადად გამოაჩინეს ძველი უვარგისი ცხოვრების ვითარება, ძველი მეთაური კაცების ურიგო მოქმედება და მათი უვარგისობაც. ამ არჩევანში გამოცხადდა უკიდურესი სიძულილი ორის მეზობლის ერის მეთაურებისა ერთმანეთში, გამოჩნდა აგრეთვე, რომ თუმცა დღეს ზოგი მათგანი გამარჯვებული არიან; მაგრამ, ადრე თუ გვიან, ისინი მაინც უკან უნდა ჩამოდგნენ და თავისი ალაგი უნდა დაუთმონ მომავალს უფრო გულსადს ახალს მეთაურებს, რომელთა მოვალეობა გულახდილსა და თავ-განწირულს მოქმედებაში უნდა გამოიხატოს, რომ ეს ორი მეზობელი ხალხი ერთმანეთთან მოარიგოს, შეაკავშიროს, შეაერთოს ყოველ საზოგადო საქმეში, რომ იმათ განამართლონ ბრძნული აზრი კაცობრიობის წინმსვლელობისა: „ერთობა არის ძალა და განცალკევება — სისუსტე“. მაგრამ ნუ დავივიწყებთ ამასაც, რომ ეს ერთობა და ერთობით მოქმედება ცხოვრების ასპარეზზე მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა კერძო ინტერესები მსხვერპლად შეიწირება საზოგადო, საერთო კეთილმდგომარეობის ძიებისათვის.

გ. წერეთელი

## მაზრის ექიმი

თქვენ კარგად იცით, მე მიმიღია
მაღალი სწავლა და განათლება.
ახლა მე თავი რომ მოვიმჩატო,
არ დამშვენდება, არ მეკადრება.

ფაიტონითა უნდა ვიარო,
ტროიკითაცა, თუ გაჭირდება;
მაგრამ მე ცხენით რომ ვიძუნძულო,
არ დამშვენდება, არ მეკადრება!

ვერსზე მანეთის ნაკლე ავიღო,
შემოსავალი რაღა მექნება?
ვინც რომ მიმიწვევს, ყველას რომ წავყვე,
არ დამშვენდება, არ მეკადრება.

დილითა ადრე ჩემ კარების წინ
ფუტკარივითა ხალხი გროვდება;
მაგრამ მეც ადრე სხვასავით ავდგე,
არც დამშვენდება, არც მეკადრება.

ამბობენ, ვითომ ვიყო ამაყი...
აღარა მქონდეს სხვის შებრალება.
ტყუილია. მხოლოდ თავის სიმჩატე
არც დამშვენდება, არც მეკადრება.

მაზრის უფროსმა თუ დამიბარა,
და მოითხოვა ჩემგან წამლობა,
მასთან მე ჩქარა არ მივძუნძულდე,
არ დამშვენდება, არ მეკადრება.

ევრეთვე მსაჯულს და რჩეულ პირებს
ჩემგან წამლობა არ მოაკლდება.
ერთრიგად ყველას რომ ვუაქიმო,
არ დამშვენდება, არც მეკადრება.

კორტოხა

## თ. ზაქარია გიორგისძე ერისთავი

ვისაც ჰსურს თ. ზაქარია ერისთვის პიროვნების გაცნობა, მისთვის სრულებით საკმაო იქნება ვაცნობოთ, რომ თ. ზაქარია ერისთავი არის გაზრდილი სახელ-განთქმულის ქართულის ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძისა და დიდ-სულოვანის თ. გიორგი რომანოზის ძის ერისთავისა. მამის ღრმა სიყვარული სამშობლოსადმი მემკვიდრეობით გადავიდა შვილზედ. საქართველოს წარსულის დიდებით და კულტურით გატაცებული ისტორიკოსი დღე-ნიადაგ, თუ

სეირნობაში, თუ სწავლების დროს, ულვიძებდა თ-დი ზაქარია ერისთავს სამშობლოსადმი სიყვარულს და აგონებდა მას, რომ დაჩაგრულს მამულს უნდა მსხვერპლი და შემწეობა. ასეთს წვრთნას კვალ-დაუჩენელად არ ჩაუვლია ზაქარიას ნორჩ-გამოხატულების ნიადაგზედ. უეჭველია ღრმად უნდა ჩარჩენოდა მას გულში დიმიტრის დაულალავი თავ-განწირული შრომა სამშობლოსადმი და მამის წაქეზება საქველ-მოქმედო ასპარეზზედ. ამ ორნაირმა მოქმედებამ კიდეც გადაადგმევინა ზაქარია ერისთავს პირველი შესამჩნევი ნაბიჯი. მან შესწირა ქართველს თავად-აზნაურობას მისი მამის ადგილ-სადგომი მამული, ოძისი, სამეურნეო სკოლის გასამართავად. ბევრს სხვა კეთილ საქმეებსაც უნდა მოველოდეთ ამ პატიოსნებით სავსე ქველ-მომქმედისაგან; მაგრამ ასეთის მოღვაწეობისათვის არ კმარა მხოლოდ კარჩაკეტილი ჯდომა თავის ოთხ კედელში. რომ მის კეთილ-განზრახვებს შესაფერი მიმართულება და ნაყოფი მიეცეს, საჭიროა, რომ თ, ზაქარია ერისთავი დაუახლოვდეს ახალთაობის წარმომადგენლებს და იმათი გულის-ცემით იცხოვროს, ჭირში და ლხინში მათთან განუყრელად იშრომოს სამშობლოს აღორძინებისათვის.



თ-დი ზაქარია გიორგის ძე ერისთავი.

## თ. ნესტორ თავდგირიძე

ამ კაცის სიკვდილმა ყოველი მისი მცნობი ნაღვლიანად ჩააფიქრა. ეს ორი კვირაა, რაც დავმარხეთ ორი მსხვერპლი, ნაყოფი ჩვენის ცხოვრების უნუგეშო მდგომარეობისა. ერთი იყო მოწიფული, უმაღლესი სწავლით გონება-განვითარებული კაცი, რომელსაც რაოდენიმე ღვაწლი მიუძღოდა ჩვენს ქართველობაში; მეორე იყო ახალი, ნორჩი, ჯერ კიდევ კოკორი, გაუშლელი ვარდი ჩვენის ცხოვრებისა, მაგრამ რომელსაც ფერზედ და ნერგზედ ეტყობოდა, რომ ის იქნებოდა შესაფერი შვილი თავის მამულისა. პირველია ნესტორ თავდგირიძე, მეორე—ნიკო ქიქოძე, პეტერბურგის სამკურნალო აკადემიის მეხუთე კურსის მოწაფე. რამდენადაც პირველის დაკარგვა სამწუხაროა ჩვენის ცხოვრებისთვის, რადგან იმას არ დასცალდა თავის ზნეობრივისა და გონებრივის შესაფერი ღვაწლი მოეტანა სამშობლოსათვის, იმდენად მეორის დაკარგვა კიდევ უფრო მომეტებულად გულ-დასათუთქავია. მისს გატაცებულს სამშობლოის სიყვარულით გულს ეტყობოდა მომავალის მოღვაწის ციური ნაპერწკალი და ჩვენ ახლა ისღა დაგვრჩენია სატირლად, რომ ნიკო ქიქოძისთანა ნორჩი ჯეჯილი ქართველ ცხოვრების ყანაში ხშირად ჰქრება უნაყოფოდ და ჰქრება ულმობელის გარემოების მადლობით. ნიკო ქიქოძეს რომ ღონისძიება ჰქონოდა უმაღლესი განათლება მიეღო ჩვენსავე ქვეყანაში, უეჭველია, მისი ტანმთელობა ჩრდილოეთის სუსხით არ დაიზროდა და უდროვოდ მიწას არ ჩაბარდებოდა. ესევე ითქმის თ. ნესტორ თავდგირიძეზედაც. აი, რა უნდა ვიწუხოთ ჩვენ! და სავალალოდ ის უნდა მიგვაჩნდეს, რომ დღემდის კავკასიაში უმაღლესი გონების განმავითარებელი სასწავლებელი არა გვაქვს და როდის გვეღირსება, არც ის ვიცით.

თავ. ნესტორ თავდგირიძე სხვანაირადაც გვაფიქრებს და მისი მოგონება სხვანაირადაც სწყლავს ქართველის გულსა. ის ეკუთვნის იმ თაობას, რომელსაც მოხვედრია საშინელი ულმობელი ცხოვრე-

ბის ვითარების სუსხი, ჩამომდგარი რუსეთში მესამოც და-მეათე წლებში. ამდროს წინად აფეთქებულს განათლებას მხარი შეეკვეცა. ვინც ცოტა ბუნების ნიჭიერებით იყვენ შემკულნი, ისინი ადვილად შეურიგდენ მაშინდელის სწავლის კალაპოტს და განამზადეს თავი საკანცელარიოდ, კეთილ-საცხოვრებელის საშუალების მოსაპოებლად. ხოლო რომელნიც იყვენ უფრო მდიდრათ შემკულნი ნიჭიერებით, ისინი კი მომეტებულად გრძნობდენ სასტიკ ცხოვრების გარემოების აუტანლობას და ზოგი მათგანი ჩავარდა სასოწარკვეთილებაში, აღარა სწამდა რა მომავლისა და ყოველსავე უდროოთ მოხუცებულის თვალით უცქეროდა. ბოლოს იმდენზედ მივიდენ ამგვარნი გონება-განვითარებულნი ჩვენი ახალგაზდანი, რომ ჰსურდათ სრულებით დაევიწყათ თავისი აუტანელი ტვირთმძიმე მდგომარეობა და მიჰყვენ ისეთის დროის გატარებას, რომლითაც უდროვოთ ისპობოდა მათი ძალღონე. ისინი შეიქნენ შავი ფიქრებიანი, არაფისი აღარა სჯეროდათ რა და უნდოდათ საჩქაროთ გამოჰკლებოდენ თავის საზოგადოებას, რომელსაც ასე ეჭირვებოდა მათი ღვაწლი და მუშაობა. ჭეშმარიტად სატირელია იმ საზოგადოების ცხოვრება, სადა ნიჭიერი და გონება-განვითარებული კაცი ვარდება ასეთს სასო-წარკვეთილებაში და ძალად ისპობს სიცოცხლეს.



თ. ნესტორ თავდგირიძე.

ნესტორ თავდგირიძეც სწორედ მსხვერპლი იყო ამგვარის აუტანელის გარემოებისა.

XX.

# მალად ლიტერატორები

ჭკუა-ნაკლე კაცი საბრალოა, ზნეობა ნაკლე კი—საზიზღარიც!... მაგრამ თუ ერთსა და იმავე დროს ორივე ერთადა აქვს გარისხებული ადამიანს, მაშინ კი შორს და მშვიდობით!... მისი დაახლოვება ჭირის გადაკიდებაა!... მართალია, მაგრამ ასე არა ფიქრობენ ზოგიერთები: ისინი პირ-იქით, განგებ ეძებენ იმისთანა კაცუნებს, რომ დაიახლოვონ, გარს შემოიხვიონ და მით თვისი უპირატესობა უფრო მკაფიოდ გამოაჩინონ და ამით მოგვაგონებენ იმ ძალად ლამაზ, პრანჭია, ქალებს, მახინჯებსა და გონჯებს რომ გვერდში ამოიყენებენ ხოლმე.

რუსის ლიტერატურამ დიდი სინამდვილით აგვიწერა ბატონ-ყმობის დრო რუსეთში, მისი სხვა-დასხვა ურიგო შედეგებით და სხვათა შორის ნამდვილად გამოხატა ერთი სასაცილო და საზიზღარი მოვლენა. აი, რა: უსაქმურ-უზრუნველობით გუნებანაქცევი ქალბატონები, შინაყმებსა და მოახლეებს ხომ აღარ სჯერდებოდენ,—შორიდან მოჰყავდათ უსახლკარო მაწანწალა დედა-კაცები და შინ ჩაიხიზნებდენ ხოლმე. ამ გვარ ქალებს „პრიჟივალკებს“ *) ეძახდენ და მათი ვალდებულება იყო თავის ქალ-ბატონის ქებადიდება და თავ-დადებული ერთგულება იმის შიშით, რომ ლუკმა პური არ დავკარგოთ და უსახლ-კარო არ დავრჩეთო. ეს საწყლები, თვალებში შესჩერებოდენ ქალბატონებს და გუნდრუკს უკმევდენ.

„თქვენა ხართ შვენიერება, მზეთ-უნახავი, სწორ-უპოვარი ეთერი“ და სხვანიო, ეფიცებოდენ ფერ-უმარულით გათუთხვნილს დედა-ბერს. „თქვენა ხართ განხორციელებული „მშვიდობა და სათნოებაო“.

პირველ ხანებში, რასაკვირველია, არც მთქმელებსა და არც გამგონეს არა სჯეროდათ-რა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს კი, ნამეტანის ჩიჩინით ორივე მხარე რწმუნდებოდა: ქალბატონს მართლა შვენიერი ეგონა თავი და „პრიჟივოლკებს“ მართლის მთქმელი. ოღონდ კი ქალბატონისათვის ესიამოვნებიათ როგორმე „პრიჟივალკებს“ და აღარაფერს აღარ უკადრისობდენ: ჭორობა, მიეთ-მოეთობა, ცილის-წამება და ამ გვარი რამეები მათ ხელათ იყო. თუ კი ყურს მოჰკრავდენ, რომ სხვაგან სადმე არის ნამდვილი ლამაზი და რიგიანი ვინმე, აუტყდებოდენ და, ვინ იცის, რას არ გამოუგონებდენ, რას არ შესწამებდენ!...

ქალბატონებისათვის, დიაღ, საჭირო და სასარგებლო იყვენ ეს დიაცუნები, მაგრამ მაინც ხშირად

*) პრიჟივალკა (приживалка) სამადლოდ აყვანილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურისხდებოდენ ქალბატონები: „ჩემი პატარა ფინია ვერ დაგიბანიათ, კატისათვის ვერ მოგივლიათ, ის ვერ გაგიკეთებიათ, ეს ვერ გაგიწმენდიათო, ესაყვედურებოდენ. მოთმინება-დაკარგული „პრიჟივალკებიც“ გაებუტებოდენ ხოლმე ქალბატონებს, მაგრამ დიდ-ხნობით ვერა. – ქალბატონები ისევ შეირიგებდენ და ფეხზე ხელს ასმევინებდენ... ფეხის გულს აფხანინებდენ..

ბატონ-ყმობა მოისპო თუ არა, რასაკვირველია, ეს საზიზღარი მოვლინებაც, ხიზან-მოახლობა, ადრე თუ გვიან, თანვე გაჰყვებოდა, მაგრამ მაინც მწერლობამ მოუსწრაფა დრო და ბოლო მოუღო. გაიმარჯვა, მაგრამ ის კი მოუვიდა თავის-თავად, რაც მოუდისთ ხოლმე ზოგიერთ ექიმებს: სახადით ავადმყოფს მოარჩენენ ხოლმე და მერე თვითონვე ხდებიან ავად.

ლიტერატურაში შემოვიდა ეს „პრიჟივალკობა“, ანუ „ხიზან-მოახლობა“... დღეს არიან მისთანა რედაქტორ-გამომცემლები, რომელთაც არავითარი სარედაქტორო ნიჭი არა აქვსთ. თავის-თავად ულონოები არიან. შეუსწავლიათ სხვების აზრი თუთიყუშისავით, წარა-მარათ ხმარობენ და თავი მოაქვსთ.

ამ გვარი რედაქტორები, რასაკვირველია, გარს იხვევენ თავის-თავზე უფრო უნიჭო მწერლებს და მათ შორის ჩამოვარდება ხოლმე ისეთივე განწყობილება, როგორც იყო ზემოხსენებულ ქალბატონებსა და „პრიჟივალკებს“ შორის: ისევ ჭორიკანაობა, მიეთმოეთობა, ცილის-წამება, უნიჭოების გამეფება, ნიჭიერების დევნა და სხვანი....

თუ იმ ბატონ-ყმობის დროის „პრიჟივალკები“ საზიზღრები იყვნენ, ეს მწერლობის „პრიჟივალკები“ ერთი ათად უფრო საზიზღარნი და მავნებელნი არიან!...

პირველების სარბიელი პატარა იყო: ისინი მხოლოდ იმ სოფლებში და იმ კუთხეში მოქმედებდენ, სადაც ცხოვრებდენ, და მეორეები კი ბეჭვდის საშუალობით ყველგან აწვდენენ თავის საუკუღმართო ხმას და ვინ იცის, რამდენი შეჰყავთ შეცდომაში?! ეს მოვლინება დიდი ჩირქია ამ საუკუნის; მაგრმ ზოგიერთები არ ერიდებიან, სიმდაბლით შედიან რედაქტორებთან.

რა თქმა უნდა, რომ ამ გვარი ფარისეველი კაცუნების მოქმედება სულ თვალ-თ-მაქცობაა!... და როდესაც საქვეყნოდ კეთილს ქადაგებენ, გულში ასე მღერიან:

ყველასათვის ცუდი მსურს!
სინიდისის მტერი ვარ;
თაყვანსა ვსცემ მტრობა-შურს
და მით ბედნიერი ვარ!

ვწერ და გროშემს დავეძებ,
ცოტასაც არ ვჯერი ვარ;
თუ არ მომცემს—ვიტაცებ
და მით ბედნიერი ვარ!

წარა-მარა მელანს ვღვრი,
პუბლიცისტად ვწერი ვარ;
თავ-ბრუ მესხმის და ვყვირი:
„მხედავთ? ბედნიერი ვარ!!“

ბატის-ტვინა, შოშია,
ჭია-ღუა, მწერი ვარ!...
ვყეფ მე, როგორც შოშია
და მით ბედნიერი ვარ!

პატრონი მყავს გულ-დიდი
მეც მის შესაფერი ვარ!
მრუდე მაქვს გზა და ხიდი,
მაგრამ ბედნიერი ვარ!

შევწუწკუნებ რედაქტორს,
მისი ფეხთა-მტვერი ვარ!
სხვას ვერ ხედავს ის ჩემ სწორს
და მით ბედნიერი ვარ!

მხოლოდ მისი გულისთვის
თითქმის ყველაფერი ვარ!
რჯულს გავყიდი ფულისთვის
და მით ბედნიერი ვარ!

ცუდს ვფიქრობ და ცუდი მსურს,
კარგი კაცის მტერი ვარ!...
ქვეყნად ვთესავ მტრობა-შურს
და მით ბედნიერი ვარ!...

აკაკი

---

## ორ გვარი აზრი აკაკის ლექსებზე *)

როგორც სჩანს, მეორე წიგნით გათავდა აკაკის წვრილ-წვრილ ი ლექსები 1857 წლიდან დაწყებული, ვგონებთ, 1891 წლამდე *). ჩვენი საზოგადოება დიდი ხანია ნატრობდა აკაკის ლექსების ერთად შეგროვებას და, აი, ახლა „ქართველთა ამხანაგო-

*) თ. აკაკი წერეთლის ოც-და-ათის წლის მოღვაწეობა შეიცავს თვით საქართველოს ერის გონებრივის წარმატების ნაყოფს. მაშასადამე შეუძლებელია ჩვენს ლიტერატურაში მწერალი ისე შეეხოს ჩვენის ცხოვრების ვითარებას, რომ ასე იქნება თუ ისე, იგი არ იყოს გარეული ამ ცხოვრებაში. ამისთვის ვერც

ბის“ შემწეობით კიდეც ეღირსეთ ამ სასურველ საქმეს. ჩვენ ახლა წინ გვიძევს ორივე წიგნი ჩვენის საყვარელი პოეტისა და სიამოვნებით ვკითხულობთ და შეძლებისა დაგვარად მსჯავრსა ვსდებთ. მაგრამ ჩვენი მსჯავრის დადება რა საჭიროა: უმჯობესი იქნება ყური დავუგდოთ ჩვენის საზოგადოების მსჯავრს ამავე საგნის შესახებ.

ჩვენს საზოგადოებაში აკაკის ლექსების ნაკლღირსების შესახებ ორი სხვა-და სხვა აზრი ტრიალებს. ერთი ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა წუნსა სდებს, არარად სთვლის ხსენებულ ლექსებს, ხოლო მეორე აქებს, ადიდებს და თაყვანს სცემს პოეტის ნიჭსა და მისს ნაწარმოებს. პირველი ბანაკი ლალადებს, რომ აკაკის ლექსებში დედა-აზრი, ანუ უცხო სიტყვებით, იდეია არ მოიპოება, წარა-მარა და მოუფიქრებელი ნაწარმოებიაო და სხვა. „ჰკითხულობ, ბატონო, აკაკის ლექსებს და დასასრულ კი არა გრჩება რა ხელთაო,“—სჩივიან პირველ ბანაკის წარმომადგენელნი. თავის აზრის დასასაბუთებლად შედარებითს მეთოდს ხმარობენ ხოლმე ისინი. „აი, ბატონო, ილიას (ჭავჭავაძის) ლექსები! ყოველ სიტყვაში ღრმა აზრია! კითხვის დროს დიდს შთაბეჭდილებას ახდენს კაცზე და დასასრულ ერთი რამ აზრი გრჩებათ ხელთაო.“ თუმცა აკაკის ენას და ლექსთა წყობილობის ხელოვნებას გადაჭრით უარს ვერ ჰყოფენ, მაგრამ, თითქოს დასამცირებლად, „სუბუქ ენას“ უწოდებენ. „უბედურებააო, გაიძახიან, რომ აკაკის აზრის დაფარვა (**) არ ეხერხება, ყველაფერს მოუბოდიშებლად დაგახლის თავზე და მკითხველს ერთს წამსაც ვერ ჩააფიქრებსო.“ უწუნებენ აგრეთვე ბუნების აწერას და სხვა.

მეორე ბანაკს კი, პირ იქით, პირველ მობანაკეთა შეხედულობა სასაცილოდაც არ ჰყოფნის. „ჩვენ მისთვის მოგვწონს აკაკის ლექსებიო, ამბობენ ესენი, რომ ყოველ ლექსში კარგი აზრი გამოსჭვივის, რომ ლექსი აზრს შეჰფერის და აზრი ლექსსა, რომ ჩვენმა პოეტმა მალულობიას თამაში არ იცის, რომ ის პირუთვნელი, მხნე და დაულალავიაო.“

ჩვენ რაღა გვეთქმის? ისა, რომ მხოლოდ ჩვენში არის შესაძლებელი ასეთი დაფასება საზოგადო მოღვაწეობისა! მერე რით უნდა აიხსნას ჩვენი ასეთი საქციელი? რა მოგახსენოთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის მხეცები, სახელდობრ: დათვები, მგლები, ვირები და სხვა, რომელზედაც პოეტს არა ერთხელ უნადირნია, და ის კვამნი, რომელთაც პოეტი იუდებს, ფარისეველებს და მოღალატეებს უწოდებს, თავიანთ მხრითაც შურის ძიებას ჰფიქრობენ და ხმა-მაღლა ლალადებენ, რომ აკაკის ლექსები ჩირადაც არა ღირსო. იმათ აჰყოლიან ზოგიერთებიცა, რომელთა თვალნი არ ალეხვნენ მზერად და ყურნი სმენად, და ბან-მოძახილ-კრიმანჭულს კი ეუბნებიან ხოლმე. ან არა ჴ ზოგიერთებს კიდევ მართლა და ვერ გაუგიათ პოეტის სულის კვეთება! აქ სამწუხარო და სავალალო მხოლოდ ისაა, რომ ჩვენში ასეთ უვიც პირთა აზრსაც გასავალი აქვს! ახლა ჩვენც გავკადნიერდებით და ჩვენს შეხედულობასაც არ დავფარავთ საზოგადოებისაგან ამავე საგანზე.

ამ საუკუნის ერთს მესამედზედ მეტია, რაც აკაკის საზოგადო ჭირ-ვარამისთვის თვალ-ყური მიუპყრია და ხელში ჩანგი აუღია იმის ჰანგებზედ სამღერლად. ამ დროის განმავლობაში მას არც ერთი თვალ-საჩინო მოვლენა არ გამოჰპარვია ჩვენს ცხოვრებაში, რომელზედაც პირუთვნელად ხმა არ ამოეღოს, არ „დაეყკფოს.“ მაგალითისათვის დავასახელებთ მხოლოდ რამდენსამე. იმ დროს, როცა ბატონ-ყმობა კიდევ სრულს თავისს ძალაში იყო, მაგრამ ის-ის იყო ძალა ეწრიტებოდა ამ ადამიანის დამამცირებელ მოვლენას, პოეტი გულ-შეუდრეკელად მიამართვინებს ხოლმე გლეხს თვის ბატონისათვის.

„ოხ, დარდების ამშლელო, ჩემის გულის ხაზი ხარ!
თავ დახრილი მიტომ ვარ, რომ კისერზე მაზიხარ!“

ქვევით კიდევ:

ძლიერმა სუსტი მნახე, დაჩაგვრა შეიძლი!,.
მაშ ახლა რაღად სწუხარ, ახალ დროს რო მოელი?

დაჰკრა თუ არა ბატონ-ყმობის გაყრის საათმა, პოეტმა მაშინვე შეაცვლევინა დედებს თავის ჩჩვილებისათვის სალილინო ნანინას კილო:

„შენს ვაჟკაცობას მომასწრებს მე ღვთის-მშობელიო,
მამი შენის ბედის არ ხარ, შენ სხვა ბედს ელიო:
შენი ვარსკვლავი სხვა არის!—ბედმა გიცინაო!
იავ-ნანა, ვარდო-ნანა. იავ-ნანინაო“

—

„დედის თმას ნუ მაწეწინებ, ნუ ჩამაცმევ შავსო!
სხვებ რა გიჭირს: ხომ შეიტყე, ბატონი არ გყავსო!“

—

„დიდი-კაცის შვილს სკოლაში გვერდთ მოუჯდებიო:
აბა, შენ იცი, ბიჭო-ჯან, როგორ ეცდებიო:
ძველ ბატონიშვილს სწავლაში ნუ ჩამორჩებიო,
გლეხსა ნიჭი არა აქვსო, არ აფიქრებიო!“...

შენი დაჩაგრული ძმები შენ უნდა იხსნაო,
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!“

---

ერთი ჩვენი ჟურნალი და გაზეთი გვერდს ვერ აუქცევს თვით მისს ნალვაწს და რომ კიდეც განზრახ არ მოიხსენოს იგმი, მწერალს დანაშაულობად უნდა ჩაეთვალოს და მის კალვის ნაწარმოებს მოაკლდება ფერი და მნიშვნელობა. ამისთვის თავისუფლად უნდა ვბეჭდოთ ჩვენის წარჩინებულის პოეტების შესახებ წერილები მიუხედავად იმისა, მათს ჟურნალ-გაზეთებში იქნება დაბეჭდილი თუ გარეშე სალიტერატურო ორღანოში.

რედაქტ.

**) „ქართველთა ამხანაგობას წიგნების გამოცემისას“ უნდა ვუსაყვედუროთ ისა, რომ ლექსების დაწერის წლები არ აღუნიშნავს თავის გამოცემაში, რის გამოც ვერ გაუგია კაცს, თუ რა რიგზე იბეჭდება აკაკის ნაწარმოები. ავტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამჩნევს თუ არა პოეტი მუქთა-მყლაპავების, იუდების, ფარისევლების და მოღალატე მაბეზღარების გამრავლებას, გადის სანადიროდ, თან მიყავს თავისი მურია, რომელიც ერთი-მეორეზე აგდებს ხოლმე ამ მხეცებს ტყიდან, ჰკბენს და სიცოცხლეს უმწარებს იმათ. იწყება თუ არა ჩვენში რაიმე საზოგადო საქმე, როგორც, მაგალითად, ბანკების დაარსება, თეატრის განახლება და სხვა, მაშინვე მათ ნაკლ-ღირსებაზე და მომავალ ბედ-იღბალზე აჟღერებს ხოლმე თავის ჩანგს.

რადგან აწინდელი ცხოვრება მხოლოდ წარსულის შედეგია, საჭიროა, პირველის კარგად შეგნებ-შესწავლისათვის უკანასკნელსაც ჯეროვანი ყურადღება მიექცეს. ჩვენი პოეტიც აგრე შვრება. იმას შეუსწავლია ჩვენი წარსული, შეუნიშნავს იქ ჩვენთა წინაპართა სულის სიდიადე, ამოუკითხავს იმათი გულის ნადები. პოეტს იმ შორეულის ჩვენის წარსულის მაღლობებიდან თვალი გადმოუვლია აწინდელის ჩვენის ყოფა-ცხოვრებისთვის და ნათლად დაუნახავს ჩვენი სისუსტე, უძლურება, გაქარწყლება, დაცემა, დაქვეითება... ეს გარემოება მას სულს უხუთავს, გულს უწყლულებს; ის მუდამ დასტირის, ერემიასებრ ჩვენს ასეთს ხვედრს, მაგრამ სასოწარკვეთას მაინც არ ეძლევა, იმედი მაინც არ უქრება გულში და მუდამ მომავალ ბრწყინვალე ბედის ვარსკვლავს გვიქადის, მღიმარე ბედზე გვიშვერს ხელს. პოეტი მოუთმენლად ელოდება იმ დროს, როცა ყველა საზოგადოების წინსვლის შემაფერხებელთა ზიზღით დაუწყებენ მზერას, როცა დადგება ის დრო, რომ „ზედ აფურთხებდენ იმათ საფლავზედ.“ ამის მოლოდინში ის ჩანგ-მომართული დგას საშინელს წყვდიადში, აღმოსავლეთისკენ უპყრია თვალი, რომ პირველმა შენიშნოს განთიადის ნიშნები და თავისი ჩანგი, რომელსაც ამდენ ხანს „ეშხით არ უჟღერია,“ ეშხით აჟღეროს და გული, რომელსაც „ტკბილად არ უძგერია,“ ტკბილად აძგეროს.

როგორც სჩანს ამ მცირე ოდენ მაგალითებიდანაც-კი, აკაკის თავის მოღვაწეობის საგნად აუღია ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი. ამ სივრცე-მანძილზედ ის შეჰხებია ყველა თვალსაჩინო და რაიმე მნიშვნელობიან საკითხავს, რაც ჩვენ ცხოვრებას წინ წამოუყენებია. ასე რომ ჩვენ თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ მას ჩვენის ცხოვრების სარკე და თავის დროების ჭეშმარიტი შვილი. ერთი წარჩინებული რუსის კრიტიკოსი (დობროლიუბოვი) როცა არჩევს ეკატერინე II-ის დროინდელ სატირას, იმ წუნსა სდებს მას, რომ თვალ-საჩინო და საჭირ-ბოროტო საკითხავებისათვის გზა აუქცევია და წვრილმან და უმნიშვნელო რამეებს გამოსდგომია. მაშასადამე ჩვენ მით უმეტესი ფასი უნდა დავსდვათ აკაკის მოღვაწეობას, რადგან, როგორც დავინახავთ, ასეთი ნაკლი მას თავიდან აშორებული აქვს.

თუმცა ყოველ გვარ ლიტერატურულ ნაწარმოებს შინაგან ღირსებასთან ერთად გარეგანი შნო და სილამაზეც მოეთხოვება, მაგრამ კიდევ უფრო გაცილებით პოეტურ ნაწარმოებს და განსაკუთრებით მათ შორის ლექსებს. პოეტური ნაწარმოები, რაც უნდა მდიდარი იყოს შინაარსით, თუ გარეგან შნოსა და ლაზათს მოკლებულია, ადამიანზედ ღრმა შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს, ჰარმონიულად გრძნობების აშლა არ ძალ-უძს. ყოველი ეს ღირსება, უნდა ვსთქვათ, აკაკის ლექსებს სავსებითა აქვს. ზოგჯერ პოეტი პოეზიის მხრივ უმაღლესს წერტილამდის ადის, როგორც, მაგალითად, ლექსებში „აღმართ-აღმართ მივდიოდი,“ „ერთხელ გნახე“ და სხვა. ბუნების აწერაც კარგად ეხერხება აკაკის; მაგრამ ის მხოლოდ მშვიდს და წყნარს ბუნებას გვიწერს. საუცხოვოა „ამაო ძებნაში“ განთიადის აწერა. საზოგადოდ აკაკის ლექსებს საუცხოვო თავისუფალი მიმდინარეობა აქვს, საკვირველი ენის სიმკვირცხლე და ზედ-გამოჭრილობა; საუცხოვო რითმა და მრავალ-ფერობა.

ამით გავათავებ, ჩემო მკითხველო, ჩემს მცირე შენიშვნას აღებულ საგანზე და თქვენთან ერთად ველოდები სხვათაგან ვრცელს განხილვას აკაკის ყოველ გვარ ნაწარმოებისას.

თ. კიკვაძე.

---

## ხალხური ლექსები

(ფშავში ჩაწერილი გრ. ბეჟანიშვილისა)

— არ ვიცი, რამ რა მიარა;
რამ რა გადამიარა;
ჩემდრო მამბობდენ ქალასა,
შარაზე ჩამამეარა!

—

— ასეთი საქმე არ მიყო,
წინ სადმე შამამეყარო;
რახან მარტუა დავრჩები,
ბოსელში შამამეპარო!

—

— წინდან არ დამიქსოვენა,
„არ მინდაობით“ მყოფელო?
მალე კი დაგიყოლიე,
ქალო, ნამუსზე მდგომელო!.

—

— მამა მომიტანს ბეჭედსა,
ოქროს შიბ-შამოხვეულსა.
თუ არ მოგიკვდე, გაგწირავ
გულზე ხელ-შამოხვეულსა!..

—

— ავად გავხე უავადო,
სიავადე შამეყარა;
სამ დღეს პური ვერ ვიამე,
რა ერთგული გამეყარა!..

— წასვლა არ მამგონდებოდა, [1])
როგორც დაქცევა ცისაო;
თავის სწორების გაწირვა,
ჩდილთაკ სავალის გზისაო.
ბევრჯელ კი გადმოვიარე,
გადმოვაჩქამე ქვიშაო!.

— ქალო, შენიდან ჩემამდე
ვარდი მოვიდა ყელამდე,
თუ შენ არ მოხველ ჩემამდე,
მე ვინ მამიშვებს შენამდე?!

— რა ლამაზ ცისკარ ამოხდა,
კი ვისამ მიეგუება.. [2])
ვაჰმე, რა შორად წამოედ,
კაცს რა ბევრ დაჰჭრის დრუება! [3])

— შენიდ-ჩემ ყოფნა წავიდა,
ერთ-ურთსა ენახავთ გვიანა;
შენიდ-ჩემ ცოდვა იმასა,
ვინაც შენ გაგაქმრიანა!.

— ადი, მთა და გორთა შუა
ნახე, წყალი ჩამოდისა.
ადე, ვაქო, წადი იქა,
სადაც იყოს შენის თვისა; [4])
მართალ ამბავ მომიტანე,
მე ვკობივარ, ან თუ ისა!.

— შენ გაქო და ის ვაძაგო,
რაზე აეიშურო ისა?
ღრუბლიან დღეს შენ ანათებ,
უმთვარეოს ლამეს ისა!..

## ბატონებმა არ დაიწუნეს

(მოთხრობა *)

### III

ნუშომ არ იცოდა, რომ სწორედ ამ დროს, აქავე გვერდზედ სძგერდა მისთვის სიყვარულით აღგზნებული გული, რომელიც ელოდა მოხერხებულ დროს, რათა ღმერთად დასახულ სათაყვანოსთვის ფიანდაზად გაეშალა წმინდა გრძნობა და თავისი არსებობა მსხვერპლად შეეწირა. ეს თაყვანის-მცემელი გახლდათ სოსანა ახალ-კაცი, რომელიც ამავე სოფელში ცხოვრობდა. სოსანა მეტად ლამაზი ბიჭი იყო, ტანად მაღალი, მოყვანილი, მაგრამ სუსტი. ამისი შავი თვალები გამოიყურებოდენ ცოცხლად გულ-კეთილობით. მკრთალი ფერი, სწორე ცხვირი, გაწკეპილი პაწია ულვაშები, შუბლზედ გადატანილი წვრილი წარბები, საერთოდ მეტის-მეტ მიმზიდველად ხატავდენ. ხასიათით აუჩქარებელი იყო, ხნით თუმცა ოც-და-სამი წლისა, მაგრამ ქცევა და ლაპარაკი დახვეწილი და დინჯი ჰქონდა. ამის ავლადიდებას შეადგენდა იქვე კარებ წინ გაშენებული სამი დღის ვენახი. თვითონ მხნე ბიჭი იყო, ხნავდა სანახევროებს, მეოთხედებს და იოლად გამოდიოდა. ერთი წელიწადია, რაც მამა დამარხა, იმისაგან დიდი სარგებლობა არა ჰქონდა სოსანას, რადგანაც საწყალი ზაქარა თუმცა მეტივედ დადიოდა, ბევრ ფულებსაც იღებდა, მაგრამ საუბედუროდ სასმელი უყვარდა, აღებულ გროშებს იქვე გზაზედ სადმე დუქანში მიფლანგავდა ხოლმე, კარგა გაიბრუჟებოდა და ცარიელ-ტარიელი ბრუნდებოდა ცოლშვილში. ერთხელ კარგა ნასვამი გაწოლილიყო რკინის გზის ლიანდაგზედ, მატარებელს მოესწრო და გაესრისა. სოსანამ ყველაფერი წესი რიგზედ გადუხადა მშობელს და მას აქეთ ცხოვრებდა მოხუცებულის დედით მშვიდად, აუმღვრევლად, არ მომდურავი თავის ბედისა. მოატანა აღდგომამაც. დედა და შვილი მხიარულად შეუდგენ სადღესასწაულო სამზადისს. სოსანამ იყიდა პასკა, კვერცხები მამის საფლავის საკურთხებლად, დაჰკლა გასუქებული ტახი და დაუწყო მას კეთება. ბუხარში აგიზგიზებული ცეცხლიც გრძნობდა ამ სახლში დამყარებულ კმაყოფილებას და გათამამებულს გაჰქონდა ტკაცა-ტკუცი. წყლით სავსე ქვაბიც უკან არ ჩამორჩენოდა მას და გაჩქარებული შიშინებდა.

— ნეტაი, დედი, რამდენი ღორიც დღეს დაიკვლის იმდენი თუმანი მოგვცა... რას იტყვი ამაზედ? უეჭველია დაიწუნებ?! წარმოსთქვა ღიმილით სოსანამ და გაუსვა დანა ხორცს.

— რა საკითხავია, შვილო! ეჰ, რაც არ შეიძლება, როდი უნდა ინატრო. ღმერთს ეწყინება. მშვიდობით ვიყოთ, თორემ სიღარიბეზედ არ ვჩივლებ. ყველა ჩვენს ტაფაში იწვის, უპასუხა თითიკამ და ხელები წაიღო ცეცხლისკენ, რომ ქვაბი გაესწორებინა.

— შვილო, ხვალ შაკ ჩოხას ჩაიცვამ, არა? იკითხა მან.

— მაშა, დედი, უნდა მოვირთო. დიდებული დღეა და ჩვენც შესაფერად დავუხვდეთ. წითელი ახალოხსაც ამოვიღე.

---

[1]) წასვლა, ე. ი. გათხოვება. [2]) მიეგუება—ჰგავს. [3]) „კაცს რა ბევრს დაჰჭრის დრუება“—ბევრ ნაირად შესცვლის კაცს დროებაო. [4]) შენის თვისა— შენი საცოლო.

*) იხილე „კვალი“-ს მე-19 №-რი.

— ბატონი ხარ. ღმერთმა ნუ მოგაკლოს ხვალისთანა დღეები, მოირთე, ჩაიკაზმე, დედის იმედო! წარმოსთქვა მოხუცებულმა და დამჭკნარ სახეზედ კმაყოფილება გადეფინა. მთელი სოფელი ფეხზედ იდგა, ცდილობდა მხიარულად მიეგებებოდა მომავალ აღდგომას, რომელიც მეორე დღეს უნდა გათენებულიყო, კაცებმა მიათრიეს ხის კუნძები საყდრის კართან, რომ იმ ღამეს იქ ცეცხლი გაეჩაღებინათ. სახლებში დედაკაცები დაფუსფუსებდნენ, ახალი მოყვანილი პატარძლები იმზადებდნენ ფერ-უმარილს, ყოველ-მხრივ გაისმოდა ღორების ჭყვიტინი, ცხვრის ბღავილი, პატარა ბიჭები მიგროვილიყვნენ სამრეკლოსთან და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ რეკდნენ ზარებს. ამ საერთო მხიარულებაში მონაწილეობას არ იღებდა ნუშო, თუმცა კი ესეც ისრაკებოდა ცეცხლოთან, ხარშავდა ბურვაკს, ღებავდა წითელ კვერცხებს, რომლებითაც უვსებდა ჯიბეებს იქვე მდგომ პატარა ბავშვებს! და ამით მათ უხეირო ღნავილს დროებით იშორებდა თავიდან. არც მელანა იყო ცუდად. ლანგარზედ დაედო დაკლული ინდოური და ნაზად სწიწკნიდა. ზურაბაც ღორის თავფეხს ფხეკდა. აი, მოატანა გათენებამ. ხალხი შეგროვდა საყდართან, დართული პატარძლები, ხნიერი დედაკაცები, გასათხოვარი გოგოები და ბავშვები ათას ფერად ირეოდნენ. ერთს მხარეს გაეჩაღებინათ დიდი ცეცხლი, მას გარს შემოხვეოდნენ ჯეელი ბიჭები და ემასლაათებოდნენ ერთმანეთს. ღვდელიც შემოსა, გამოიტანეს ხატები, ბლეპტრები და ლიტანია დაიწყეს. დიდება აღდგომასსა ქრისტესსა! გაისმა მომღვრის რიხიანი ხმა.— დიდება აღდგომასსა ქრისტესსა! მიჰბანა ერთხმად ხალხმა. აღსავენი ბჭენი თქვენნის, მთავარნო, და აღახვენით... დიდება აღდგომასსა ქრისტესსა!.. „ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა!" ჭეშმარიტად აღსდგა! მოისმა ყოველ მხრიდან ჭეშმარიტად აღსდგა!.. სადღაც შორს ჩაიჩურჩულა მიყურებულმა ბუნებამ, რომელიც ამ დროს იღვიძებდა დიდხნის ძილისაგან და იმოსებოდა შვენიერებით. ლიტანია გათავდა, ღვდელი შევიდა საყდარში, ხალხიც თან შეჰყვა. სოსანა კედელს მიეყუდა და სასოებით დაუწყო ცქერა ხატებს, რომელნიც ბრწყინავდნენ გალდადებულ ბლეპტრებისაგან. ამისი ასხე ამ ჟამად ნეტარებით იღიმებოდა, ცხადად ეტყობოდა, რომ ეს დიდებული დღესასწაული თავის მადლს აფენდა გულში, რაღაც სიამოვნებას და მორჩილებას აგრძნობინებდა. აგერა ეკლესიაში მეოფი ხალხი მიინძრ-მოინძრა. გზა დაუთმეს ვიღაცეებს. სოსანამ მოიხედა, ხატებთან მოვიდნენ მორთული გოგოები, აანთეს სანთლები და მაშინათვე გამობრუნდნენ. აგერა ნუშოც ერთ სანთლის ჯანთებას დიდხანს მოუნდა, რადგანაც ხელები საშინლად უკანკალებდა. შემდეგ დაემხო ძირს, ხელები გულზედ გადაიჯვარედინა, რამდენსამე წუთს ნუშო უსიტყვოდ, გაუნძრევლად იყო ასე, წითელი ბაღდადი გადუცურდა თავიდან, შუბლზედ მოკლე ხუჭუჭები გამოუჩნდა, ჯვარცმას მიმართა ხვედრის გამომხატველი ლურჯი თვალები, რომლებშიაც ცრემლები ციმციმებდნენ. ხანდისხან ტუჩებს გაანძრევდა, გამხდარ, გადაფითრებულ ნუშოს რაღაც საოცნებო სახე ედო... ღმერთო! რა უსიტყვო ვედრება-სასოებას ხატავდა ეს გაწამებული არსება! აი, გაათავა ნუშომ მხურვალე ლოცვა, წამოდგა, გადაიწერა პირჯვარი, თავ-დახრილი გამობრუნდა, მაგრამ ამ დროს მან იგრძნო რაღაც ძრიელი ძალა, რომელმაც უნებურად დაიმორჩილა და მიახედა გვერდზედ. ამის თვალები შეხვდნენ სოსანას გაშტერებულს თვალებს, რომელნიც თანაგრძნობით მოსჩერებოდა. ნუშოს ლოყები შეუწითლდა, საჩქაროდ გამოვიდა კარზედ. წირვას შემდეგ ხალხი გამოიშალა, ესენი ერთმანეთს ულოცავდნენ დღესასწაულს, კვერცხებს ჩახა-ჩუხი გაჰქონდათ. ნუშო კარებთან იდგა და ელოდა ქალების გამოსვლას.

— ქრისტე აღდგა!.. ამ სიტყვებით ამისკენ გამოსწია სოსანამ.

— ჭეშმარიტად. დაესწარი მრავალ ამ დღეს, უპასუხა ნუშომ.

— ნეტაი რას ეხვეწებოდი ისე გულ-მოდგინედ ღმერთსა ნუშო? ჰკითხა სოსანამ და ალერსით შეხედა თვალებში. ნუშომ რაღაც არა ჩვეულებრივი სითბო იგრძნო გულში, მაგრამ არა შეიმჩნია რა.

— რაში გეკითხება?.. ალბად რო ვეხვეწებოდი, მქონია რამე სათხოვარი. საყდარშა ადამიანი რისთვის შედის?.. ჩაილაპარაკა ამან, თან გაწითლდა, თვალები დედამიწას დააჩერა.

— მაინც, მაინც, მამა ნუ მოგიკვდება მითხარი!.. ნუშომ წარბი შეიკრა, მას არ მოეწონა ეს ჩაცივება...

— ვერ გეტყვი... კაცის გული დაფარული ყუთია, აგრე ადვილად იმაში ჩახედება არ იქნება.. რად გინდა გაიგო?!. დაუმატა ამან და ნაღვლიანად გაიხედა გვერდზედ.

— ნუშო, მამას გაფიცებ მითხარი, აგი ჩემი დაია ხარ, რას მარიდებ?

— კმარა!.. შესძახა ნუშომ.— ტყუილად მაფიცებ... კარგად გაიგე, მე არავინ არ მეფიცება, არც არავინ ჩემი ძმაა. წარმოსთქვა ამან და საჩქაროდ მოშორდა სოსანას. სოსანას არ ეწყინა ნუშოს ამ გვარი უკმეხად მოქცევა.

— საწყალი! ჩაილაპარაკა ამან - რამდენ ტანჯვას იტანს!.. არა, მე რაღას ჩავაცივდი?. რაში მეკითხება, რაზედაც უნდა ილოცოს!.. დაუმატა ამან და გასწია თავმოყრილ ბიჭებისკენ.—არც არავინ მეფიცება, არც არავინ ჩემი ძმაო.—რა გოგოა... განა ცუდი იქნება, რომ ამან იმისი გული დაისაკუთროს?.. ვითომ ვერ გააბედნიერებს სოსანას ნუშო? უეცრად გაუელვეს ამ ფიქრებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოსანას თავში სწორედ იმ დროს, როდესაც შეუერიოდა მოლხინე ხალხს. ნუშომ სახლისკენ გასწია. ამისი გული არა ჩვეულებრივ მდგომარეობაში იყო. თვალ-წინ წარმოუდგა სოსანას ლამაზი სახე, მოხდენილი ტანი. ღმერთო, რა მშვენიერი რამ იყო?.. რა ნაირის თვალებით შემოჰყურებდა ნუშოს! პირველად ხედავს ის ასეთს ალერსს. არას დროს არავისგან არ ახსოვს... პატარაობისას თუ ვინმე დაუსვამდა თავზედ ხელს... მაგრამ ისიც დიდი ხნის ამბავია, არცა ღირს იმისი მოგონება. მას აქეთ, რაც ეს მოვიდა არსებაში, გაიგო წუთი სოფლის მნიშვნელობა, ნუშოს არ გაუგია ამ გვარი თანაგრძნობა... მაგრამ სამაგიეროდ ეს როგორ მოექცა?.. უხეშად... ჰმ! თანაგრძნობა?!. საიდან? არა, არა, ისიც განგებ იგონებს, რომ დაკლებული ნუგეშალი მიუმატოს ამის ჯოჯოხეთურ ცხოვრებას... ოღონდაც... არა, თავიდან მოიშორებს, როცა შეხვდება, გზას აუქცევს, მოერიდება... ფიქრობდა ნუშო და თან გული ძალზედ უძგერდა, თვალ-წინ არა შორდებოდა სოსანა. ამას შემდეგ თითქოს ნუშოს ჯიბრზედ ხშირად ხვდებოდენ ესენი ერთმანეთს. სოსანა ყოველთვის თანაგრძნობით, შებრალებით, ალერსით ექცეოდა ამას, მუდამ სთხოვდა გულახდილობას, მეგობრობას, მაგრამ ნუშო მუდამ უხეშად უდგა, თავს არიდებდა, თუმცა კი ბედნიერი იყო იმ დროს... ამას უნდოდა მოშორებოდა სოსანას, დაჰკარგოდა თვალიდან და ამასთანავე უნდოდა სამუდამოდ საუკუნოდ მასთან დარჩენილიყო. ეს ორი ერთმანეთის სურვილი სტანჯავდა ნუშოს და დღითი დღე ძალ-ღონეს უსუსტებდა... რამდენადაც შორს უდგებოდა ნუშო სოსანას, იმდენად უკანასკნელი გულით უახლოვდებოდა მას. ბოლოს თითქმის ველარ შეიმაგრა თავი და გულ-ახდით თვალ-წინ დაუხატა თავისი თითქმის თაყვანისცემად გადაქცეული გრძნობა, რომელსაც გულში მოწიწებით მუხლს უდრეკდა ნუშო, მაგრამ პირადად უნდობრად ექცეოდა.

— ვერ გამიგია, რა ადამიანი ხარ, ნუშო? დაილაპარაკა სოსანამ ერთხელ, როდესაც ორივენი წყაროსთან ქვაზედ ჩამომსხდარიყვნენ.

— ძალიან ადვილი გასაგებია. მე ვარ ბოროტი, სუსტი, უგულო, გაქვავებული, გინდა ათასობით ჩამოგითვალო კიდევ, თუ ესეც კმარა, რომ მიცნო?!. უპასუხა ქალმა და ტუჩებზედ რაღაც მწარე ღიმილმა შეუთამაშა.

— კმარა, ძალიან კარგად გხედავ, რაცა ხარ... თუმცა ცდილობ გრძნობის დამალვას, მაგრამ ყოველივეს კარგა ვხედავ, ჩემო კარგო! დაიმალე ეგ ეჭვიანი ხასიათი, მომენდე... გეუბნები მიყვარხარ, შენით ვსცოცხლობ და ამ სიტყვებს თითქმის დასცინი, ტუჩს უბზუებ, მერე მაშინ, როცა შენ გულში სულ სხვა ამბავი ხდება. რადა მალავ, შენი ჭირიმე?.. ის არა სჯობიან თავისუფალდ გზა მისცე და ერთმანეთს შევუერთოთ სიცოცხლე? ერთ ადამიანად გარდავიქცეთ? რათა სტანჯავ, ჩემო ღმერთო, ან შენ თავს, ან მე?!

— ჩუ, ჩუ, ნუ ლაპარაკობ მაგას!.. შესძახა ნუშომ გაფითრდა, თვალები ვედრებით მიაჩერა თავის ბედნიერებას, თითქოს შებრალებასა სთხოვდა, თითები მაგრა ჩაუჭირა ნაწნავების ბოლოს.

— რატომ? დაიჩურჩულა სოსანამ, მკლავები გაუწოდა მოსახვევნელად, მაგრამ ნუშომ ხელი ჰკრა, უკან დაიწია.

— რას სჩადი?! ნუ მაუბედურებ! ნუ!..

— მაშ არ გიყვარვარ?.. ამ კითხვაზედ პასუხი არავინ მისცა... არ გიყვარვარ?! ნუშო შეინძრა.— ოჰ, სოსანავ, წარმოსთქვა მან — რა გინდა ჩემგან?! რა ბედნიერებას მოგცემ, რო გითხრა მიყვარხარ მეთქი?!. მიყვარხარ, გეფიცები შენს თავსა, მაგრამ კი უნდა მომეროდო, არ მინდა შენთან ყოფნა!..

— რატომ?.

— იმიტომ რო ცუდი ვარ, შენ სხვანაირი ქალი უნდა შეგხვდეს.

— როგორი?..

— მოსიყვარულე, გულკეთილი... მე არა ვარ ამისთანა...

— შენ რად მაძლევ მაგაზედ პასუხს?. მე ვჯერივარ შენს ხასიათებს, გული ველარ გამიჩერებია, ნუშო, შენსკენ მოიწევს, შენგან მოელის გახარებასა, შემიბრალე!

— არა, არა, იქით, ჩემთვის არ გაგიმეტებ, რადგანაც ძრიელ მიყვარხარ. მე არა ვარ ჯანსაღი, ამასთანავე ბოროტი ვარ.

— რაში გეტყობა ბოროტება?

— რაში?. როცა ჩემს სახლში ვაკეთებ რასმე, სულ ვიწყევლები, ვაჯავრებ ყველას, ვინც კი ჩემს გარემოა; როცა პურს გასტეხენ ან მამა, ან პატარა და ძმა, ან დედინაცვალი, იმ დროს ჩემი ტუჩები განუწყვეტლად იმეორებენ, შხამად, შხამად, ცეცხლად!.. არავინ მიყვარს, ყველა მეჯავრება... სახლში მყოფთ, წყევლა კრულვით ვაჭმევ პურს და, აბა, ამისთანა შენ რას გამოგადგება?..

— არა უშავს რა, მეც დამწყევლე, წარმოსთქვა ღიმილით სოსანამ.— ამ სიტყვებზედ ნუშო შეინძრა,— უწინ ნუშო მოკვდეს! დაიჩურჩულა მან.

— სწორედა სთქვი, ნუშო, მაშ არ გინდა ჩემი სიყვარული?!

— მინდა, როგორ არ მინდა, უიმისოდ ერთ დღესაც არ ვიცოცხლებ, მაგრამ შენთან ცხოვრება არ მინ-

და... შორს იყავ, თუნდ თვალითაც ნუ დამენახვები, მარტო ვიცოდე კი, რომ შენი გული ჩემია...

— ეგ როგორ შეიძლება, ჩემო ღმერთო? ნუ გენაცვალე, ნუ მელაპარაკები მაგრე, აბა, გულსა ჰკითხე, რას გეტყვის!

— სჯობიან ეხლა მოვშორდეთ ერთმანეთს, განაგრძო ნუშომ.

— მერე ძალიან საშიშოა, რადგანაც ჩემს სიყვარულს ადვილად არვის მივცემ, დაუმატა მან და მისმა სახემ მკაცრი მეტყველება მიიღო.

— უფრო კარგი, ჩემო სიცოცხლევ, უფრო მეტად არ დაგაფასებ?.. წინ ჩემი აღგზნებული სიყვარული დახვდება და ერთად ჩვეულნი მივიდეთ სამარის კარსა.

— რომ გამოიცვალო?.. რომ შემიძაგო?.. მაშინ რაღას მეტყვი?..

— უწინ ჩემს გულზედ ნახავ მიწასა.

— არა, არა, მეშინიან, სოსანა, არა მჯერა, რომ ძალიან გიყვარვარ... არავინა გძულებია? წარმოსთქვა ნუშომ და გაშტერებით მიაჩერდა სოსანას, რომელიც ღიმილით შემოსცქეროდა...

— არა?— აი, კიდეც ეგ მაშინებს. მე მძულს, მძულს რამდენადაც მძულს, იმდენად მიყვარს.

— უფრო კარგი, ჩემო ციცინათელავ, გიყვარვარ?.. მაშ გათავებულა ჩვენი საქმე... დედაჩემს გამოვგზავნი თქვენებთან, სხვებზედ ის უფრო კარგს მოციქულობას გამიწევს... მალე მტერი მოგიკვდეს, მალე იმათ მოგაშორო.

— მომაშორო! ჩაიცინა მწარედ ნუშომ. შენ მელანა არ გიცვნია, მაშ; ის აგრე ადვილად არ გამიშვებს ხელიდან. განა შეგიძლია ათი თუმანი ფული მიუტანო?.. სადა გაქვს?..

— ვისესხებ. თუ არავინ მათხოვებს, მაშინ მოუმაგირედ გადავარდები სადმე და იმათ კი ამოვუმსებ ფულით გაუმაძღარ პირსა, არავის დაგანებებ, არავის, დააბოლოვა სოსანამ და შემოსვია მკლავები თავის სათაყვანოს, რომელიც ამ ჟამად აღარ გაუმალიანდა და მიესვენა მას გულზედ, მაგრამ თითქოს რაღაც გაახსენდაო, უეცრად მოიშორა სოსანას მკლავები, უკან გაიწია.—ნუ მაუბედურებ, სოსანავ! დაჟინებით განიმეორა ნუშომ.

— რათა, შენი ჭირიმე?.. აბა რათი?..

— ნუ მართმევ გულსა, თუმცა ღარიბი ვარ, მაგრამ რაკი გული ჩემ ხელთ არის, მდიდრად მიმაჩნია თავი, ნუ მართმევ, ალერსსაც ნუ მაჩვევ, სოსანავ, საალერსოდ არა ვარ გაჩენილი... თუ გინდა დამწყევლე, გამლანძღე, რაც უნდა შორს ვიყო, მაინც გავიგონებ, რო ყველა ეგა ჩემსკენ იგზავნება, რადგანაც მარტო მაგისთვისა ვარ გაჩენილი.

— კმარა, გენაცვა, კმარა, ნუ გეშინიან, მალე მოუღება ბოლო... იქნება ამ დღეებშიაც.

— გნახოთ, კაი შენს მტერსა!..

— ნეტაი არ მინდა, ერთი უარი მითხრან, შესძახა შუბლ-შეკრულმა სოსანამ.

— დამიგვიანდა, უნდა წავიდე ახლა კი, ნახვამდის, შენ გენაცვალოს ნუშოი! წარმოსთქვა ნუშომ, წამოიკიდა კოკა და ჩქარის სიარულით წავიდა. სოსანამაც გამოსწია სახლისკენ, ეს ფიქრობდა მაზედ თუ როგორ გაეგზავნა თითიკა ზურაბაანთსა.

ანასტასია ერისთავი

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.


# განცხადება

## საბაღოსნო წარმოება

## „როკვეი"

მიხაილ სტეფანეს ძის ბეთანიშვილისა

ქ. ბათუმში.

ამ ბაღში მოჰყავთ ცხელი ქვეყნების, ორანჟერეის, და სახლის მოსართავი მცენარეები. აგრეთვე ისყიდება იმათი ნერგები და ყვავილების ძირები.

რადგან ქ. ბათუმში ცხელი, თითქმის ტროპიკული ჰავაა, ამისგამო ბეთანიშვილის ბაღში მოჰყავთ და უვლიან ძვირფას ტროპიკულს მცენარეებს, რომელნიც ჩრდილოეთის გრილ ჰაერში არ ხარობენ და მსურველთ შეუძლიანთ მათ გემოვნებისამებრ მოიპოვონ ყოველნაირი ამგვარი მცენარეები, რომელნიც ოთახის თბილ ჰაერში ხარობენ.

ბეთანიშვილის ბაღში არის ამ ჟამად ორასი ჩაის ვარდისა, ბურბონისა, რემონტატიისა და სხვანაირი ვარდების ნერგები. ხეხილის ნერგები საუკეთესო რუსეთის დ ევროპის გვარისა, ორისა და სამის წლისა, ფიჭვეული და ლიბანოს კედრის მგზავსი ხეების ნერგები; ჩირგვეული მცენარეები ყოველგვარნი, რომელნიც მუდამ მწვანობენ, ანუ რომელთაც ზამთრობით ფოთოლი სცვივათ.

სია ამ მცენარეებისა დაბარებისათანავე უფასოდ იგზავნება.


Дозв. ценз. Тифлисъ, 22 Мая 1893 г. სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა (Типог. Гр. Изд. Т—ав)